

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები, ტ. I, თბ., 2008; ტ. II, თბ., 2007; ტ. III, თბ., 2008.

ქართულენოვანი მკითხველების ფართო წრემ უკვე მიიღო რამდენიმე ცალკეული გამოცემა, რომლის მიზანი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების თანამედროვე ქართულზე ამეტყველებაა. ამჯერად ჩვენ წინაა სამტომეული: სამივე ტომის რედაქტორია ლევან აბაშიძე. ძველი ქართული ტექსტები, ე. ი. ჰაგიოგრაფიული მოთხრობების ორიგინალები, გამოსაცემად მომზადებულია ედიშერ ჭელიძის მიერ. გამონაკლისია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“; რომლის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და თარგმნა ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა. თარგმანების უმრავლესობაც ედიშერ ჭელიძის შესრულებულია: შუშანიკის წამება, ვესტათი მცხეთელის წამება, აბოს წამება, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. დანარჩენ მოთხრობათა ტექსტები სხვადასხვა სპეციალისტმა თარგმნა: ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და მათა არეშიძემ – იოანე ზედაზნელის ცხოვრება; მათა კობიაშვილმა – შიოსა და ევაგერეს ცხოვრება; ლევან აბაშიძემ – დავით გარეჯელის ცხოვრება; ეთერ შენგელიამ – აბიბოს ნეკრესელის წამება, გობრონის წამება; ნინო ხახიაშვილმა – კონსტანტის წამება; მედეა ლლონტმა – იოანესი და ექვთიმეს ცხოვრება; ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა – გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება; ეკა ქორიძემ – სიბრძნე ბალავარისა.

თითოეულ ტომს წამძღვარებული აქვს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიტყვები: „მივესალმებით წინამდებარე ნაშრომის გამოცემას. მიგვაჩნია, რომ ეს გამოცემა დააახლოებს საქართველოს ეკლესიის სულიერ მემკვიდრეობასთან მოსწავლეებს, სტუდენტებს, მრევლის წევრებს და ყველა დაინტერესებულ მკითხველს.“

პირველი ტომი იწყება წინათქმით, რომელიც ხელმოუწერელია და, სავარაუდოდ, სარედაქციო კოლეგიას ეკუთვნის. აქედან ირკვევა, რომ აღნიშნული კრებულის მომზადებაზე ავტორთა ჯგუფი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. სამუშაოს მოტივი და მიზანი ასეა ჩამოყალიბებული: „ძველი ქართული ენის გაგებას სპეციალური სწავლა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტექსტის გაგება სრულყოფილი არ იქნება და ხშირად, არასწორი, ვინაიდან ზოგიერთი სიტყვა და გამოთქმა მნიშვნელობას იცვლის საუკუნეთა განმავლობაში“. ამდენად, ამ შინაარსის სამუშაოს ძირითადი მიზანი

ქართულენოვანი მკითხველისათვის მასალის „ადვილად გასაგები ფორმით“ მიწოდებაა. იქვე ხაზგასმულია, რომ ეს სამუშაო, – ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ახალ (თანამედროვე) ქართულზე თარგმნა, – „სრულებითაც არ გულისხმობს ორიგინალური ტექსტისაგან მკითხველის დაშორებას. პირიქით... თარგმანი გზას გაუხსნის მკითხველს ორიგინალთან მისასვლელად. ამისათვის ჩვენ გამოცემაში იბეჭდება როგორც თარგმანები, ისე ორიგინალური ტექსტები“.

სამივე ტომს ახლავს რედაქტორის ერთი და იგივე შესავალი წერილი, რომლის სათაურია „შესავალი“ (გვ. 10-15). მასში განმარტებულია მოცემული სამუშაოს სარწმუნოებრივი და საღვთისმეტყველო საფუძვლები. ესაა ხელისშეწყობა მათთვის, რომელთა იდეალი არის „ქრისტიანული სრულყოფილება“. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ქრისტიანი მოწამეებისა და მოღვაწეების მიმართ. სწორედ მათი ინტერესების დაკმაყოფილებას ემსახურება „შესავლის“ ქვეთავი: „ქრისტიანი წმინდანები: მოწამე და სულიერი მოწამე“, რომელშიც საუბარია როგორც მითითებული ცნებების შინაარსზე, ისე მარტიროლოგიის ძირითად თეორიულ და ისტორიოგრაფიულ საკითხებზე. ამდენად, რიგით მკითხველებს შესაძლებლობა ეძლევათ, მიიღონ ინფორმაცია ქრისტიანული საეკლესიო ტრადიციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უმდიდრესი უბნის – წმინდანობის ინსტიტუტის შესახებ. იგულისხმება საეკლესიო ტრადიციისა და მწერლობის დარგები – ჰაგიოლოგია და ჰაგიოგრაფია, რომლებსაც მორწმუნეთა ყველა თაობა უდიდესი კრძალვით და პატივისცემით ეცნობა. ასე იყო ძველ საქართველოში, რასაც ადასტურებს ორიგინალური და მალაღმბარისხოვანი ქართულენოვანი ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის არსებობა. სწორედ ამ ლიტერატურაში ასახული სამყაროს სრულყოფილად აღქმისა და შეცნობის საშუალებაადაა მოაზრებული ძველ ქართულ ენაზე შექმნილი ჰაგიოგრაფიული ძეგლების თანამედროვე ქართულზე თარგმნა და თარგმანთა ორიგინალური ტექსტების პარალელურად გამოცემა.

თანამედროვე ქართველი საზოგადოება საეკლესიო ლიტერატურისა და, კერძოდ, ჰაგიოგრაფიის მიმართ, წესისა და რიგის მიხედვით, განსაკუთრებულ ინტერესს უნდა იჩენდეს. გავითვალისწინოთ, რომ, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, დღევანდელ საქართველოში ერთობ დიდია ისეთი ადამიანების რიცხვი, რომლებიც თავიანთ თავს მართლმადიდებლებს უწოდებენ. ეს ადამიანები

„სულისმარგებელი ლიტერატურის“ მიმართ გულგრილი ვერ დარჩებიან და, ბუნებრივია, რომ სულიერი მოძღვრები ეძებენ გზებსა და საშუალებებს, რათა მათ შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის პროცესი გაუადვილონ.

აღნიშნულ მიმართულებით მუშაობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში 1979 წლიდან დაიწყო. ამ ეკლესიის ახლადდასაყდრებულმა საჭეთმპყრობელმა, კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, დასვა საკითხი არა მარტო ბიბლიის, არამედ ძველ ქართულ ენაზე შექმნილი ლიტერატურული ძეგლების ახალ (თანამედროვე) ქართულზე გადმოღების შესახებ. ამ გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმა მან წინამდებარე სტრიქონების ავტორს დაავალა. ჩვენ, მის უწმინდესობასთან კონსულტაციის შედეგად, მიზნად დავისახეთ ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული მოთხრობების ახალი რედაქციების შექმნა. აქ იგულისხმება ძველი რედაქციების (თუკი ასეთი არსებობს) ურთიერთშეჯერება, შეჯერებული ვერსიის სხვადასხვა წყაროთი შევსება (თუკი ეს შესაძლებელია) და თანამედროვე მკითხველების ინტერესთა სამყაროს, მათი აზროვნების სტილისა და გემოვნების გათვალისწინება. ამ მიზანდასახულობის შეძლებისამებრ გათვალისწინებით დავამუშავეთ ორი თხზულება: შუშანიკის წამება და დავით გარეჯელის ცხოვრება, რომელთაც „ახალი მეტაფრასული რედაქციები“ ვუწოდებთ. მეტაფრასირების პრინციპის შესაბამისად, ჩვენ ძველი ტექსტები (რომლებსაც შეიძლება კიმენი ვუწოდოთ) ნაწილობრივ ვთარგმნეთ, ნაწილობრივ გადააკეთეთ და ნაწილობრივ შევავსეთ. მკითხველთა ფართო წრეს მხოლოდ მეორე ნაშრომის (დავით გარეჯელის ცხოვრების) გაცნობის შესაძლებლობა მიეცა (იხ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1982 წლისა, თბ., 1982, გვ. 125-142).

მართალია, ძველი ჰაგიოგრაფიული ტექსტების თარგმნა-მეტაფრასირების განხრით მუშაობა ჩვენ ველარ შევძელით, მაგრამ იდეა არსებობას განაგრძობდა. ჩვენთვის ცნობილია, რომ საპატრიარქოში ამ მიმართულების ხელმძღვანელობა პატრიარქმა ფილოსოფოს დენიზა ზუმბაძეს მიანდო. ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტმა ქეთევან ცხადაძემ წმ. ნინოს ცხოვრების ერთ-ერთი ვერსიაც თარგმნა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო დასახული გეგმის და ამოცანის შესრულება ვერ მოხერხდა. თუმცა გამოიკვეთა იმის შეგნება, რომ საჭირო და აუცილებელია არა მარტო ჰაგიოგრაფიული ძეგლების, არამედ ძველი ქართული მწერლობის ნებისმიერი დარგის ნიმუშთა ახალ ქართულ ენაზე გადმოღება.

ყოფილება განსაკუთრებით საღვთისმეტყველო ლიტერატურაზე გამახვილდა, რადგან ენის სირთულე და გაგების პრობლემა ამ უბანზე უფრო მწვავედ იჩენს თავს. „საღვთისმეტყველო კრებულის“ რედაქციის შემოთავაზების საფუძველზე (რედაქტორები: ედიშერ გიორგაძე და, შემდეგ, გიორგი ცინცაძე) ჩვენ ვთარგმნეთ ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველები“ შესავალი. ამ თარგმანის ტექსტი გამოვაქვეყნეთ როგორც „ძველი ქართულიდან საღვთისმეტყველო ტექსტების ახალ ქართულ ენაზე გადმოღების პირველი ცდა“. პუბლიკაციას („საღვთისმეტყველო კრებული“, #7, 1982, გვ. 114-123) წარვუძღვარეთ მიმოხილვა, რომელშიც ჩამოვაცალიბეთ ჩვენეული ხედვა ძველ ქართულ ენაზე შექმნილი საღვთისმეტყველო ლიტერატურის თანამედროვე ქართულზე თარგმნის საჭიროების შესახებ. აღვნიშნეთ: „გრამატიკული წყობითა თუ ლექსიკური ფონდით, რიგი ენობრივი თავისებურებით ძველი ქართული ქმნის ახალი ქართულისაგან თითქმის დამოუკიდებელ ლინგვისტურ ერთეულს... ყოველივე ამის გამო ძველი ქართულით შექმნილი ზოგი ტექსტი აზრისმიერ სირთულესთან ერთად თანამედროვე მკითხველისათვის თითქმის გაუგებარია. ამგვარ თხზულებათა ახალ ქართულ ენაზე გადმოღება, ჩვენი აზრით, მათ შესწავლას რამდენადმე გააადვილებს. შეუძლებელია განვითარდეს ჭეშმარიტი ღვთისმეტყველება, თუ ვერ მივაგენით მშობლიური ენის იმ სიღრმეს და გამომსახველობით ხერხებს, რითაც ადამიანებს მომადლებიათ უნარი ღვთისშემეცნებისა“. ამ სიტყვებით ჩვენ იმის თქმა გვსურდა და გვსურს, რომ ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე ტექსტების თარგმნას არა მარტო პტაქტიკული მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს (ენობრივ დონეზე გაგება), არამედ – შემეცნებითი, რათა გაამდიდრდეს შესაბამისი დარგი ტერმინოლოგიისა და გამომსახველობითი უნარის გაძლიერების თვალსაზრისით.

ძველი ქართული ტექსტების ახალ ქართულზე თარგმნის საჭიროება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, წერილობით პირველად იაკობ გოგებაშვილმა აღიარა (ნ. პაპუაშვილი, იაკობ გოგებაშვილის ერთი აკრძალული სტატიის პუბლიკაციის საკითხები და შინაარსი. მესხეთი VIII-IX, 2007, გვ. 340-341). მართალია, ის ამ შემთხვევაში ძირითადად ბიბლიის ძველი ქართული თარგმანის ენის ხარვეზებსა და თანამედროვე მკითხველისათვის ამ ენის გაუცხოებაზე ლაპარაკობს, მაგრამ შეუიარაღებელი თვალისთვისაც ნათელია, რომ ეს ზოგადი პრობლემაა, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის ნებისმიერ დარგს მოიცავს. იაკობ გოგებაშვილის ხედვას იზიარებ-

დნენ ილია ჭავჭავაძე, პეტრე უმიკაშვილი და იმდროინდელი ქართველი სამღვდლოების ნაწილი (იხ.: „სიტყვა“, 1998, №1, გვ. 28-29), მაგრამ ვიცით აგრეთვე, რომ ეს პოზიცია საერო და სასულიერო პირების უმრავლესობამ არ გაიზიარა. უარყოფით ემოციებს გამოხატავდნენ ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, თუმცა ირკვევა, რომ ამ საგანზე ყველა სპეციალისტი ერთნაირად არ ფიქრობდა. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიპყრო კორნელი კეკელიძის პირად საარქივო ფონდში შემონახულმა დოკუმენტებმა: ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტ დავით გეწაძის ორმა წერილმა აკად. კორნელი კეკელიძეს. ორივე წერილი დათარიღებულია 1960 წლით. მათგან პირველი მოიცავს (1) მსჯელობას ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების ახალ ქართულ ენაზე გადათარგმნის მიზანშეწონილობისა და საჭიროების შესახებ და (2) ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ავტორი უკვე მუშაობს ამ მიმართულებით; ნათარგმნი აქვს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გარკვეული ნაწილი და აინტერესებს ავტორიტეტული პიროვნების აზრი ამ საგანზე. მეორე წერილიდან ჩანს, რომ ადრესატმა არ მოიწონა აღნიშნული იდეა და ავტორს თავისი კონტრარგუმენტები გაუზიარა, რაც ავტორისათვის დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და ამ მიმართულებით მუშაობა აღარ განაგრძო. აღნიშნული კონტრარგუმენტები ცნობილი არ რის (ადრესატის პასუხს ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცნობთ), მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კ. კეკელიძე შიშობდა, ვაითუ თარგმანმა ახალგაზრდა თაობის თვალში დედნის მნიშვნელობა დაჩრდილოსო.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში ძველი ქართული ტექსტების ახალ ქართულზე თარგმნის იდეა წლების განმავლობაში დავასა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ბოლო დროს ვითარება შეიცვალა, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დარგისა და მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ცნობილი სპეციალისტის ედიშერ ჭელიძის სახელთან. მან შესაბამის ნუსხათა მონაცემების ხელახლა გადასინჯვის საფუძველზე გამოსაცემად მოამზადა, მეცნიერულად თარგმნა, ერთობ ვრცელი ტექსტობრივ-საღვთისმეტყველო სქოლიოებით აღჭურვა და კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გამოაქვეყნა ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ის ძეგლები, რომლებიც ზემოთ მის თარგმანებადაა მოხსენიებული: *ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, ტ. 1, ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, მოსკოვის წმიდა*

გიორგის სახელობის ქართული ეკლესია, გამომცემლობა „ახალი ივირონი“, თბ., 2005, 1152 გვერდი. ამ ნაშრომისა და პუბლიკაციის მიზანი „წინათქმაში“ ასეა განსაზღვრული: „ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობასთან დაკავშირებული პედაგოგიური და მეცნიერული ინტერესების გამთლიანების მცდელობა“ და მართლაც: გამოცემა აღჭურვილია არა მარტო აღნიშნული სქოლიოებით, არამედ სრული კრიტიკული აპარატებით, მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზით და ამა თუ იმ საკითხის გარშემო დასრულებული კვლევა-ძიებითი წიაღსვლებითაც.

„ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების“ სამტომეულის მთავარ დანიშნულებად, მიზნად და ღირსებად ჩვენც სწორედ „ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობასთან დაკავშირებული პედაგოგიური და მეცნიერული ინტერესების გამთლიანება“ წარმოგვიდგება. ამ სფეროში ჩვენს პირად პრაქტიკასა და გამოცდილებაზე შედარებით ვრცლად იმის გამო ვილაპარაკეთ, რომ შემდეგი გარემოებისათვის გაგვესვა ხაზი: მუშაობის პრინციპი და მეთოდი, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ, თანხვედრა განსახილველ გამოცემებში აღნიშნულ პრინციპს და მეთოდს. ესაა ძველ ქართულ ენაზე შექმნილი ტექსტების თარგმნა ახალ (თანამედროვე) ქართულ ენაზე. ბუნებრივად დაისმის კითხვა: არის თუ არა ამ შემთხვევაში გამართლებული სიტყვა „თარგმნა“ ანუ: შესაძლებელია თუ არა, ძველი ქართული ტექსტის ახალ ქართულზე გადმოღებას თარგმნის კვალიფიკაცია მიეცეს? იმ პროცესს, რაზეც ახლა ვსაუბრობთ, შეიძლება დავარქვათ თარგმნა ამ სიტყვის ახალი ქართულისეული მნიშვნელობით? ეს კითხვა ხშირად ცხარე ტონით დაისმის. „ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურის“ ზემოთ მითითებული გამოცემის ერთ ეგზემპლარზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებას ეკუთვნის, – იქ, სადაც ნათქვამია: „ყოველ ტექსტს პარალელურ ტექსტად დაერთო მეცნიერული თარგმანი ახალ ქართულ ენაზე“, გვხვდება მინაწერი, რომელიც შესრულებულია მკრთალი ფანქრით, მაგრამ ხელწერაში მკითხველის ნერვიული ემოცია და წყრომის მუხტი ჩანს: „რას ჰქვია თარგმანი?!“ (გვ. 3). პასუხი მარტივი და ნათელია: თარგმანი ჰქვია ერთი ენიდან სიტყვებისა და შესიტყვებების მეორე ენაზე გარდასახვას. ჩანს, ეს მკითხველი ძველ ქართულ ენასა და ახალ ქართულ ენას ერთსა და იმავე ენად მოიაზრებს. მეტყველების ესა თუ ის სისტემა მეტყველების მეორე სისტემასთან მიმართებით რა შემთხვევაში უნდა მივიჩნიოთ დამოუკიდებელ ლინგვისტურ ერ-

თეულად – ენად, ცალკე მსჯელობის საგანია და წინამდებარე თემის რეგლამენტს შორდება. ამ შემთხვევაში ჩვენთვის არსებითი და საკმარისია იმ ქვეშარიტებაზე მითითება, რომლის თანახმად ერთი ენობრივი სივრცის ის სიტყვები და შესიტყვებები, წინადადებები და აბზაცები, რომელთა შინაარსი მეორე ენობრივ სივრცეში ბუნდოვანი, გაუგებარი და აღუქმელია, უნდა ითარგმნოს.

იმის წარმოსაჩენად, თუ რა ურთიერთმიმართებაშია ძველი და ახალი ქართული და რამდენად მწვავე პრობლემა იჩენს თავს ამ უბანზე, მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს. სახარების ძველი ქართული თარგმანი და, შეიძლება ითქვას, ქართულენოვანი ქრისტიანული ბიბლიოთეკა ამ სიტყვებით იწყება: „აბრაამ შვა ისააკ“ მკითხველი, რომელიც ანბანის დონეზეც ვერ ფლობს ძველი ქართული ენის ბუნებას, ვერ გაიგებს: აბრაამმა შვა ისააკი, თუ ისააკმა შვა აბრაამი. ხსენებული ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელსაც ვთხოვე, ამ ფრაზის შინაარსის გარკვევაში დამხმარებოდა, ამიხსნა და ბართუც დამიწერა, აქ იგულისხმებაო: „აბრაამი შექმნა ისააკმა“ დანმარებისათვის იქვე მყოფ მკითხველს მივმართე, – აქტიურ მკითხველს: მოძღვარს ვკითხავ და პასუხს ხვალ მოგახსენებო. დარბაზში ერთ-ერთი დეპარტამენტის თავმჯდომარე შემოვიდა და მან ამიხსნა: „აბრაამმა შვა (ანუ გააჩინა) ისააკი“ როგორ, ფილოლოგი კაცი ხარ, თანაც მეცნიერი და ამდენი არ იცი?! დასძინა. დამუნათებას არ შევუწუხებივარ; მთავარია, რომ სამიდან ერთმა მაინც გამცა სწორი პასუხი. უცხოელმა პროფესორმა მკითხა, როდესაც წირვა დამთავრდა და ეკლესიიდან გამოვედი: თუ ესმის ამ მრევლს ლიტურგიის ძველი ქართული ტექსტი? იქვე მდგომ მორწმუნეებს ვკითხეთ: რას ნიშნავს ფრაზა მრწამსიდან: „და ჯვარს ეცვა... პონტოელისა პილატეს ზე“? ხუთიდან ვერც ერთმა ვერ გვიპასუხა. ფაქტია, რომ სენკევიჩის ერთი ცნობილი რომანის ქართული თარგმანის სათაური „ვიდრე ჰხვალ?“ მკითხველების უმრავლესობას არ ესმის, ანდა მცდარად ესმის, მაგრამ ჰგონია, რომ ესმის. თუკი ეს ელემენტარული ფრაზები გაუგებარია, რა იმედია, რომ მკითხველთა ფართო წრე კონცეპტუალური შინაარსის წინადადებებს გაიგებს? აი, თუნდაც ქრისტიანის ყოველდღიურად წარმოსათქმელი სიტყვები 50-ე ფსალმუნიდან: „შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენს წინაშე ვყავ, რადოთა განჰმართლდე სიტყუათათაგან შენთა და სძლო შჯასა შენსა“ დამეთანხმებით, შეუძლებელია ამ მუხლის მეორე ხანის გაგება რომელიმე ნაცნობ ენაზე თარგმნილი ტექსტის მოშველიების გარეშე. ამ და სხვა მაგალითებს, რო-

მელთა რიცხვი არცთუ მცირეა, ერთ დასკვნამდე მივყავართ: ძველი ქართული ტექსტების ახალ ქართულზე თარგმნა მიზანშეწონილიცაა და აუცილებელიც. აქ სიტყვის გაგრძელება ზედმეტია თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს სამეცნიერო და კულტურულ სივრცეში უკვე მკაფიოდაა გამოთქმული ჩვენი პოზიციის თანხვედრი დასკვნა, რომელიც გამყარებულია საფუძვლიანი არგუმენტებით და მწყობრი თეორიით. მხედველობაში გვაქვს პროფ. ზურაბ კიკნაძის სტატიები ამ სფეროში, კერძოდ: „ენა და სარწმუნოება“ და „ბიბლიის თანამედროვე თარგმანისათვის“ (მისივე, ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ, თბ., 2002, გვ. 130-144).

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების სამტომეულის გადათვალიერებაც საკმარისია, რათა გავიგოთ, არის თუ არა გარდათქმული ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივი სიტყვები და შესიტყვებები ახალ ქართულზე ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, გვაქვს თუ არა საქმე ლინგვისტურ თარგმანთან? ჩატარებული სამუშაოს დეტალური ანალიზი ჩვენი წინამდებარე ამოცანის საზღვრებს შორდება. ამ შემთხვევაში ყურადღებას რამდენიმე ისეთ მაგალითზე და, კერძოდ, ისეთ ლექსიკურ ერთეულსა და გრამატიკულ კონსტრუქციაზე გავამახვილებთ, რომელიც რეალური ვითარების დადგენაში დაგვეხმარება.

სამტომეული აგებულია ქრონოლოგიური პრინციპით. იწყება „მოქცევაჲ ქართლისაჲთ“ და მთავრდება გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებით. სხვა საკითხია, არის თუ არა გამართლებული „მოქცევაჲ“-ს ტექსტის, თუნდაც მისი ნაწილის, ასეთი დათარიღება, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში არსებითი არ არის. ჩვენთვის არსებითია იმის ცხადყოფა, თუ როგორ მიმართებაშია დედანი იმასთან, რაც სამტომეულში თარგმანად მოიხსენიება. დაკვირვება გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ძველი ლექსემები, სინტაქსური წყვილები და კონსტრუქციები ძირითადად გარდათქმულია ახალი ქართულის სემანტიკასა და კონსტრუქციებში, რაც სხვა არაფერია, თუ არა თარგმნა. მაგალითად დასახელებული სათაურის შესატყვისიც გამოგვადგება: „ქართლის მოქცევა“.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორაა ახალ ქართულზე ამეტყველებული ზემოთ მოყვანილი ენობრივი მოვლენების („აბრაამ შვა ისააკ“, „ზე“, „ვიდრე ჰხვალ?“) მსგავსი მოვლენები, მოვიხმობთ რამდენიმე ანალოგიას, კერძოდ, – ისეთ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც ჩვენი მკითხველისათვის ნაცნობი უნდა იყოს და რომლებიც, ჩვენი შეფასებით, ტიპურია. „ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი

ლოთის შვილთანი წარიქცინა და შეკადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა“ – „ალექსანდრე მეფემ ლოთის შვილთა მოდგმა გააქცია და შერეკა ისინი კედარ ქვეყანაში“ (I: 20-21). როგორც ვხედავთ, ზედსართავი „კედარ“ დატოვებულია უთარგმნელად, მაგრამ მის შინაარსში გარკვევის მცდელობა მოცემულია შენიშვნაში (გვ.151). ამავე მეფემ „ფერკი დააპყრა და დანიელი მოილო და მოიძია ესე“ – „ფეხი არ მოიცვალა, დანიელის წიგნი მოიტანა და მოიძია ეს გამოწათქვამი“ (I: 40-41). „ესერა მოსრულ-ა სული ჩემი ჳორკად ჩემდა, დამეძინებინ ძილითა მით დედისა ჩემისაჲთა საუკუნოდ“ – „აგერ მოზჯენია ჩემი სული ჩემს ხორხს და დამეძინება ჩემი დედის ძილით საუკუნოდ“ (I: 48-49). წმ. ნინო ამბობს: „მოვედ ბაგინსა ჳურიათასა... და განვიცდიდ ძალსა ამის ქვეყანისასა“ – „მივედი იუდეველთა ბაგინში... და ვეცნობოდი ამ ქვეყნის რაობას“ (I: 68-69) (ამ ფრაზას ჩვენ ასე ვთარგმნიდით: *მივედი ებრაელთა ტაძარში და ვეცნობოდი ამ ქვეყნის ბუნებას*). გავისხენოთ მირიანის სიტყვები ამავე თხზულებიდან: რადგან ქვემო ეკლესია (ე. ი. სვეტიცხოველი) წმინდათა წმინდად მივიჩნიეთ, „ვერ ვიკადრებდი კართა მისთა განხუმად თვნიერ ხოლო დღესა კურიაკესა. არცა შესლვად ვინ იკადრებდა თვნიერ მღვდელთასა“ – „ვერ ვხედავდი მისი კარების გაღებას, გარდა მხოლოდ კვირა დღისა. ვერც ვინმე გახედავდა შესვლას მღვდლების გარეშე“ (I: 142-143). მკითხველებს შევახსენებთ, თუ რაოდენ შორსმიმავალ თეორიას მისცა ბიძგი ქართული საეკლესიო არქიტექტურის ისტორიაში აღნიშნული ადგილის არასწორად გაგება; თითქოს აქ ეწერა, ეკლესიაში მღვდლების გარდა არავინ შედიოდაო; ამის გამო ჩვენს უძველეს ეკლესიებს მინიატურული მასშტაბები ჰქონდაო.

თითქმის ანალოგიური ვითარებაა სხვა ძეგლებშიც. იმის მიუხედავად, რომ ძველიდან ახალ ენაზე გადმოთარგმნის აქტი მეტწილად განხორციელებულია და ძველი ახლითაა შეცვლილი, გვხვდება შემთხვევები (აქა-იქ), როდესაც ეს პროცესი ბოლომდე მიყვანილი არ არის. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ შემთხვევაში მთარგმნელები რაღაცას ვერ ელევინ. ეს რაღაცა მათთვის ხიბლია, სხვანაირად რომ ვთქვათ, – ტკობის საგანი, რომელსაც არ უნდა შეეხო. თუ შეეხები, ანუ გარდათქვამ და გადათარგმნი, ხიბლი და სურნელი დაიკარგება. თითქოს ძველი ქართული უკეთესია და ეს ენა ბუნებითად, ე. ი. დაბადებით, რაღაც დასაბამიერი მადლით არის უფრო საღვთისმეტყველო, სასულიერო და საეკლესიო, ვიდრე ახალი ქართული და, მით უფრო, თანამედროვე ქართული

ენა. ასეთ მსჯელობას მეტწილად არალინგვისტიკებისა და არალიტერატორებისაგან მოისმენთ. აქ ლოგიკას განცდები და ემოციები ფარავს. ხსენებული მთარგმნელები კი მეტწილად ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები არიან და ეჭვი არაა, რომ ისინი ასეთი განცდებისა და ემოციებისაგან თავისუფალი არიან. ამიტომ თარგმნის გზაზე უკანდახვევის შემთხვევები, რაც უკვე ვახსენეთ, დედნის ზოგჯერ „თანაწაყოლის“ უნებლიე შედეგი უნდა იყოს, რადგან ვხედავთ, რომ ეს არ არის მათი და, კერძოდ, რედაქციის მთარგმნელობითი პოზიცია.

დავკმაყოფილდეთ რამდენიმე მაგალითით ზემოხსენებული „თანაწაყოლის“ საილუსტრაციოდ. ჩვენ ასეთად მივიჩნევთ „მოქცევა“-ს თარგმანში უთარგმნელად დატოვებულ სიტყვას „ტალანტი“: „ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული“ – „როგორც წინამძღუართაგან დაფარული ტალანტი“ (I: 148-149). ვფიქრობთ აჯობებდა (რადგან თარგმნასთან გვაქვს საქმე პარალელურ რეჟიმში): *წინამძღვრებისგან დამალული განძი*. ასევე: როდესაც ვარსქენი თავისი ქვეყნის საზღვრებს მოუახლოვდა, მოინდომა, „რაითა აუწყოს და წინამივებნეს მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი“ ციტირებული სიტყვები თარგმნილია ასე: „რომ შეეცყობინებინა და წინ მიჰგებებოდნენ მას აზნაურები, თავისი ძენი და თავისი მსახურები“ (I: 166-167). თუ დედნისეულ „ძენ“-ში მხოლოდ მამრობითი სქესის შვილები იგულისხმება, ჩვენი აზრით, თანამედროვე ქართულის სემანტიკის თანახმად, ალბათ უკეთესი იქნებოდა მოხმობა სიტყვისა „ვაჟები“ (მიუხედავად იმისა, რომ „ძენი“ სრულიად გასაგებია, ის მაინც არქაიზმია). შუშანიკის სიტყვები „არათუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამკუ“ თარგმნილია ასე: „არათუ მე აღმემართა ის ხატი, რომ მე დამემხო“ (I: 172-173). თარგმანი, ცხადია, განმარტებას საჭიროებს და იქვეა განმარტება, რომლის თანახმად „ხატი“ ამ კონტექსტში ნიშნავს „კერპს“, ხოლო ფრაზას ეს შინაარსი აქვს: „ის, რაც არასოდეს აღმიმართავს, როგორ დავამხობდი“?! (I: 217-218). იქნებ მოხერხებულიყო ისე თარგმნა, რომ ფრაზის პირველადი (ზედაპირული) აზრის გაგება კომენტარის გარეშეც შესაძლებელი ყოფილიყო. ან კიდევ: წინადადება გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან „ვინაღ-იგი აღასრულა ყოველი განგებულებაჲ ცხორებისა ჩუენისაჲ სიტყუამან მამისამან“ თარგმნილია ასე: „საიდანაც აღასრულა ჩვენი ცხოვრების განგებულება ღმრთის სიტყვამ“ (III: 466-467). ჯერ ერთი: ფორმა „ღმრთის“ თანამედროვე ქართულისათვის შეუსაბამო ფორმაა

და მას შეესატყვისება „ღვთის“ მეორე: შეუსაბამობაა დედანთან, რომელშიც ვვაქვს *მამის სიტყვა*; და მესამე: გადაუჭრელი დარჩა ძველი ქართულისეული შესიტყვების „განგებულება“ ცხორებისა ჩუენისა“-ს ახალ ქართულზე გასაგებად ამეტყველების პრობლემა. რას ნიშნავს „ცხოვრების განგებულება“ და როგორ უნდა გამოვთქვათ, რომ შესაბამისობაში მოვიდეს ახალი ქართული ენის სემანტიკა-სემასიოლოგიასთან?

მსგავსი შემთხვევები ბევრია, თუმცა ზოგადი სურათი არ იცვლება: ძველი ქართულის ახალ ქართულზე ამეტყველების ამოცანა ძირითადად შესრულებულია. სასურველი იყო, რედაქტორ-გამომცემელს რამდენადმე მაინც გაემახვილებინა ყურადღება იმ გამოცდილებაზე, რომელიც ამ მიმართულებაში არსებობს და რომელსაც ზემოთ შევხებით. ვვარაუდობთ, რომ ეს გათვალისწინება თარგმნის სრულყოფილებისაკენ მიმავალ გზაზე ნაბიჯის კიდევ უფრო წინ გადადგმის საწინდარი იქნებოდა. კორექტურის მიმართაც მეტი ზრუნვა უნდა გამოეჩინათ.

გამოცემის სარედაქციო გვერდებიდან არ ჩანს და ჩვენთვის უცნობია, გრძელდება თუ არა ამ მიმართულებით მუშაობა; განზრახულია თუ არა იმ თხზულებების დამუშავება, რომლებიც სამტომეულში შესული არ არის და, სავარაუდოდ, მისი პუბლიკაციის დროს გამოსაცემად მზად არ იყო. ესენია: ცხრა ძმა კოლაელთა წამება, ილარიონ ქართველის ცხოვრება და შედარებით გვიანი ხანის ქართული ჰაგიოგრაფია. ასევე: სასურველი იყო გვცოდნოდა, თუ ვისი ინიციატივით, მხარდაჭერითა და თანადგომით მოხერხდა მითითებული ტომების მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა, ანდა: ვისი ეგიდით განხორციელდა ეს გამოცემა? თუმცა ამ შემთხვევაში მთავარი და არსებითია თავად გამოცემა, ე. ი. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტები და მათი თარგმანები: მეტწილად პროფესიული და გულმოდგინე მუშაობის ნაყოფნი.

ნუგზარ პაპუაშვილი

BRIEF REVIEWS

Nino Doborjginidze. Linguistic-Hermeneutical Metatexts: Practical Grammar and Hermeneutics in 10th-13th Century Georgian Sources. Appendix I: Antiochian Manuscripts, Appendix II: The Metatexts of Ephrem Mtsire, Ilia State University, Tbilisi, 2012, 252 pp. (In Georgian)

The Old Georgian philological tradition includes the practice of commenting on texts, developing a textological apparatus, and preparing publications. At the same time, this tradition has a clear-cut conceptual aspect, which is the main subject of this book. (Zurab Kiknadze)

Kakha Katsitadze. HOMO MILITARIS: Man the Warrior, Vol. 1, Community and Brotherhood, Polygraph Publishers Tbilisi, Tbilisi. 2011, 304 pp. (In Georgian)

This book attempts to reveal the relationship between predator behaviour (bear, wolf, boar, lion, etc.) and the type of warfare practiced by combatant peoples. It also discusses archaic military symbols in the same light. This work, which offers a vast amount of information and original findings, was planned to be continued in following volumes, but the author's intention has remained unfulfilled. (Zurab Kiknadze)

Georgian Hagiographical Texts: Old Georgian Texts and their Versions in Modern Georgian, Vol. 1, Tbilisi, 2008; Vol. 2, Tbilisi, 2007; Vol. 3, Tbilisi, 2008. (In Georgian)

Old Georgian can be seen as a linguistic system almost independent of modern Georgian in terms of grammatical structure and vocabulary. Therefore, some old Georgian texts are sometimes quite difficult for a modern reader to understand, their sophisticated meaning being only part of the challenge. Along with its practical value – that is, comprehension at a language level – translations of old Georgian texts into modern Georgian also have a significant cognitive function as they contribute to the enrichment of the field in question with relevant terms and means of expression. (Nugzar Papuashvili)